საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ირმა გელაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიორგი შავლიაშვილი?	
დიახ	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გიორგი შავლიაშვილის წარდგინების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გიორგი შავლიაშვილმა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში „ორგანული კანონი“) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კანდიდატი - გიორგი შავლიაშვილი შევაფასე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შედეგად, მივიჩნიე, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 90 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

მითითებული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში კენჭი ეყარა გიორგი შავლიაშვილის კანდიდატურას მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. შედეგადად, გიორგი შავლიაშვილის კანდიდატურამ მოიპოვა საბჭოს 12 წევრის მხარდაჭერა. მიმაჩნია, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ღია სხდომაზე მხარი დავუჭირე საქართველოს პარლამენტისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად **გიორგი შავლიაშვილის** კანდიდატურის წარდგენას.

პატივისცემით,

ირმა გელაშვილი,
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

2021 წლის 17 ივნისი